21/01/2026

MES 9 26 0000048473

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 12.01.2026 წ;
სხდომის დაწყების დრო: 13:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 18:15 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1.ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:

ეკატერინე ლეჟავა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ნატო შეროზია - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ჩიკვილაძე - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
ნინო ლაბარტყავა - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
თეა ბაქრაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
მარინე ბაიდაური - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
რონა პერტია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
ნანა ათუაშვილი - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მარი მიქაუტიძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თეა ცერცვაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ ბიბილაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო დვალიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო მიქაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო კაპანაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა თარალაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ქევხიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გოგა პარუნაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:

1. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანება:
ეთერ სიმონიძე - გაერთიანების დირექტორი;
თამარ ბახტაძე - გაერთიანების დირექტორის მოადგილე მეთოდურ დარგში;
ინგა მელქაძე - გაერთიანების დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში;
N1 საბავშვო ბაღი:
ნინელი მოსეშვილი - გამგე;
N2 საბავშვო ბაგა-ბაღი:
თამარ ქიშმარაია - გამგე;
N3 საბავშვო ბაგა-ბაღი:
ხათუნა სურმავა - გამგე.

2. ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება:
ეკატერინე ხასია - გაერთიანების დირექტორი;
ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საბავშვო ბაგა-ბაღი:
თამუნა ჩუხუა - მთავარი სპეციალისტი;
ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ხორგის საბავშვო ბაღი:
ასმათ ბერაია - მთავარი სპეციალისტი;
ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიბულის საბავშვო ბაღი:
ერიდა ჯიშკარიანი - მთავარი სპეციალისტი.

4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანება (N1 საბავშვო ბაღი):
ამირან ხიმშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ქეთევან ღვანიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ია იაკობიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მარიამ გელხვიიძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანება(N2 საბავშვო ბაგა-ბაღი):
ამირან ხიმშიაშვილი-ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ქეთევან ღვანიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ია იაკობიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მარიამ გელხვიიძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანება (N3 საბავშვო ბაგა-ბაღი):
ამირან ხიმშიაშვილი-ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ქეთევან ღვანიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ია იაკობიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მარიამ გელხვიიძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება (ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საბავშვო ბაგა - ბაღი):
ირმა გაბისონია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე
თათია ქუთათელაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
მარინე ზაზაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
სალომე ბოჭორიშვილი - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი , წევრი;

ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება (ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ხორგის საბავშვო ბაღი):
ირმა გაბისონია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
თათია ქუთათელაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
მარინე ზაზაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
სალომე ბოჭორიშვილი - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი , წევრი.

ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება (ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიბულის საბავშვო ბაღი):
ირმა გაბისონია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
თათია ქუთათელაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
მარინე ზაზაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
სალომე ბოჭორიშვილი - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი , წევრი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2026 წლის 12 იანვარს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 13:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში შემავალი ხეთის საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში შემავალი პირველი ხორგის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში შემავალი ხიბულის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი N1 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი N2 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი N3 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **დიახ**

ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო დვალიშვილმა, განაცხადა, რომ ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში შემავალი დღის წესრიგით გათვალისწინებული სამივე საბავშვო ბაღის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა გაბისონია, ტექნიკური ხარვეზის გამო, დროებით ვერ ახერხებდა პრეზენტაციის წარდგენას და სჭირდებოდა დრო ხარვეზის აღმოსაფხვრელად, ამის გათვალისწინებით, დააყენა შუამდგომლობა, რომ ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღების ავტორიზაციის საკითხები პირველ, მეორე, მესამე საკითხად განხილულიყო და შემდგომ ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღებისა. საბჭოს წევრებმა ერთხმად გამოხატეს თანხმობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის დამატებითი შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა ცვლილებით და წარმოდგენილი სახით:

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი N1 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი N2 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი N3 საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
4. ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში შემავალი ხეთის საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში შემავალი პირველი ხორგის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში შემავალი ხიბულის საბავშვო ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანების (N1 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ამირან ხიმშიაშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანების N1 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 08 და 09 ოქტომბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 90. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრას.
ექსპერტმა, ამირან ხიმშიაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად

შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით - როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას. ექსპერტმა ასევე ისაუბრა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებას აქვს კარგი თანამშრომლობის პრაქტიკა სხვადასხვა აქტორებთან, რომელიც თანამშრომელთა შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობისკენ არის მიმართული. მიმდინარე წელს, საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებამ მოიპოვა „მწვანე ჯილდო 2025", რომელიც გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ განხორციელდა. „მწვანე ჯილდოს” კონკურსის ფარგლებში, საბავშვო ბაღის აღმზრდელმა/მეთოდისტებმა განახორციელეს აქტივობები გარემოსდაცვითი და აგრარული თემების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა იმ ხარვეზების საკითხით, რომელთა აღმოსაფხვრელადაც დაწესებულების სტატუსის მაძიებელს უკვე დაწყებული აქვს მუშაობა.
გაერთიანების დირექტორმა, ეთერ სიმონიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული თითოეული ხარვეზი გაანალიზდა, ბიუჯეტში გათვალისწინებულია საჭირო სახსრები და ადგილობრივი თვითმართველობის მხარდაჭერით ხარვეზებზე მუშაობა დაიწყება უახლოეს პერიოდში.
საბჭოს წევრი, თეა ბაქრაძე, დაინტერესდა ექსპერტთა მიერ იდენტიფიცირებულ ხარვეზებთან მიმართებით დაწესებულების რეალური ხედვისა და ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების სრულყოფილად ცოდნის საკითხით, ვინაიდან, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულია რიგი სწრაფად მოგვარებადი ხარვეზებისთვის გრძელვადიანი პერიოდი.
გაერთიანების დირექტორმა, ეთერ სიმონიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული თითოეული ხარვეზი განხილულ იქნა ხონის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად და მიუხედავად შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული გრძელვადიანი პერიოდისა, ეტაპობრივად, რაც შეიძლება მოკლე ვადაში იქნება აღმოფხვრილი ყველა შეუსაბამობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, თხოვნით მიმართა გაერთიანების დირექტორს, რომ ის ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრასაც არ სჭირდება დიდი თანხა, თუმცა საბაზისო და მნიშვნელოვანია, აღმოიფხვრას სააღმზრდელო პროცესის დაწყებამდე. გაერთიანების დირექტორი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარის თხოვნას.
საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა ინკლუზიური განათლების მიმართულებით დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიდგომებისა და მეთოდების საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი გამოწვევას წარმოადგენს, რადგანაც დაწესებულების სტატუსის მაძიებელს არ ჰყავს შესაბამისი ადამიანური რესურსი, როგორიცაა სპეციალური პედაგოგი, ასისტენტი, თუმცა აღნიშნული საკითხიც განხილულია ხონის მუნიციპალიტეტის მერთან და ერთ-ერთ პრიორიტეტ საკითხად არის განსაზღვრული.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა კვირის გეგმების შედგენის საკითხით.
მეთოდურ დარგში გაერთიანების დირექტორის მოადგილემ განმარტა, რომ გადამზადებულია საგანმანათლებლო პერსონალი, გავლილი აქვს კურიკულუმის დანერგვის სტრატეგიების ტრენინგი, ასევე 9 საგანმანათლებლო პერსონალს გავლილი აქვს აღმზრდელ-პედაგოგის

პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული, კვირის გეგმებს ადგენს შესაბამისი პერსონალი, რომლებსაც აქვთ თეორიული ცოდნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სამზარეულო ბლოკში განთავსებული გაზის ბალონის უსაფრთხოების საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ დასახელებული გამოწვევის მოგვარება იგეგმება უახლოეს პერიოდში, შეძენილი და დამონტაჟებული იქნება რეგულაციის შესაბამისი ელექტრო ღუმელი. რაც შეეხება უსაფრთხოებას, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს აქვს შესაბამისი აღჭურვილობა, ხოლო თანამშრომლებს გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგი.
საბჭოს წევრი, თამარ ჩიკვილაძე, დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ეზოს მიმდებარედ განთავსებული შენობის საკითხით.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ ბიუჯეტში განსაზღვრულია თანხა ღობის გასაკეთებლად, რაც აღმოფხვრის ბავშვის ეზოს მიმდებარედ გასვლის საფრთხეს. გარდა ამისა, იგეგმება შენობის დემონტაჟი.
საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა კვების საკითხით.
სამეურნეო დარგში გაერთიანების დირექტორის მოადგილემ განმარტა, რომ კვების ტექნოლოგთან დაწყებულია კონსულტაციები და ეტაპობრივად, პირველ კვარტალშივე მოგვარდება კვებასთან დაკავშირებული ხარვეზები.
ექსპერტმა, ამირან ხიმშიაშვილმა, დამატებით განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტის დროს ხონის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთან ჩატარდა ინტერვიუ, როგორც სამუშაო ჯგუფის წევრთან. მან გამოხატა დაინტერესება და გამოთქვა მზაობა და ყველა გამოწვევის იდენტიფიცირებასა და მოგვარებასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ მოთხოვნილი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის საკითხით.
ექპერტმა, ამირან ხიმშიაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში არის 5 ჯგუფი, 5 აღმზრდელი - პირველ და მეორე ცვლაში. ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია მოსაწესრიგებელია, ვინაიდან რთულია იდენტიფიცირება რა რესურსებს ფლობს დაწესებულების სტატუსის მაძიებელი და ეზოს მოწყობის კუთხითაც დიდი შრომაა გასაწევი. დაწესებულების სტატუსის მაძიებელი სრულად უზრუნველყოფილია საწოლებით, სკამებით, კარადებით. ჯგუფური ოთახები ბავშვთა რაოდენობის შესაბამისია. ასევე, აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელი ჯგუფი აუცილებელია, რომ სხვადასხვა სპეციალისტისგან იყოს დაკომპლექტებული, რათა ყველა საკითხი ყოველმხრივ და შესაბამისად იქნას დანახული და გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:35
დასრულების დრო - 15: 08

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანების (N1 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანებას (N1 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 11 დეკემბრისა. დაწესებულების სტატუსის მაძიებელს დამატებით განესაზღვრა, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება სამზარეულოს ბლოკის სამფაზიანი ელექტრო კაბელითა და ელექტროქურით აღჭურვის მიზნით. სამუშაოების განხორციელებამდე კი 112-თან კონსულტაციით უზრუნველყოს უსაფრთხოების მაქსიმალური ზომები გაზის ბალონის გამოყენების პროცესში. ამასთან, სააღმზრდელო პროცესის განახლების დროისთვის აღმოფხვრილი იყოს მარკირებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, სათამაშოებისა და სასმელი წყლის კონტეინერის რეცხვა-დეზინფექციის საკითხი, ხმარებიდან იქნას ამოღებული მრავალჯერადი გამოყენების პირსახოცები ხელის გასამშრალებლად და ჩანაცვლდეს ქაღალდის ხელსახოცებით.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანების (N2 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ამირან ხიმშიაშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანების N2 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 10 და 11 ოქტომბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 90. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრას.

ექსპერტმა, ამირან ხიმშიაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით - როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას. ექსპერტმა ასევე ისაუბრა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებას აქვს კარგი თანამშრომლობის პრაქტიკა სხვადასხვა აქტორებთან. პროექტის „ხონის დევნილთა დასახლების და კონფლიქტით დაზარალებული ქალების და გოგონების სამოქალაქო შესაძლებლობების გაძლიერება პოზიტიური ცვლილებებისთვის“ ფარგლებში დაფინანსდა სამოქალაქო ინიციატივა, რომლის მიზანიც იყო ხონის მე-2 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის განმავითარებელი გარემოს მოწყობა. საგანმანათლებლო პროცესის მრავალფეროვნებისთვის შეძენილ იქნა შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი - განმავითარებელი ხალიჩები და ხის განმავითარებელი თამაშები. გარდა ამისა, „ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფის'' მიერ, ბაღს გადაეცა ტექნიკა (ლეპტოპი, ფერადი პრინტერი).

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა იმ ხარვეზების საკითხით, რომელთა აღმოსაფხვრელადაც დაწესებულების სტატუსის მაძიებელს უკვე დაწყებული აქვს მუშაობა.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ის ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრა შესაძლებელი იყო დაუყოვნებლივ, აღმოფხვრილია, მაგალითად, ჩამოიხსნა სარკე, ჯგუფიდან გატანილია თარო, კიბეები მარკირებულია სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, სანიტარული კვანძების და თეთრეულის მარკირების საკითხი მოგვარებულია, საფენების გამოსაცვლელი მაგიდის საკითხი მოგვარებული იქნება სააღმზრდელო პროცესის განახლების პერიოდისთვის. დეკემბრის თვეში აღმზრდელები გადამზადდა პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგით, დამცავ ბადეებთან დაკავშირებულ ხარვეზზე დაწყებულია მუშაობა, დრამატულ და სენსორულ ცენტრთან დაკავშირებული გამოწვევაც მოგვარებულია ნაწილობრივ, მიმდინარეობს სტანდარტული

ოპერაციული პროცედურების წარმოება, დაგეგმილია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადება, გარე განათებასთან დაკავშირებულ ხარვეზზეც დაწყებულია რეაგირება.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა საგანმანათლებლო რესურსების ფლობისა და ტრანზიციის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამგემ განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ფლობს საგანმანათლებლო რესურსებს, მაგრამ არასაკმარისი რაოდენობით. აღნიშნა, რომ დაგეგმილია წლის ბოლომდე შესაბამისი რაოდენობის შეძენა. დარეგულირებულია ტრანზიციის საკითხი, მიმდინარეობს მშობლის ჩართულობით, მაგალითად, ტარდება ღია კარის დღე, სადაც ხდება მშობლების ინფორმირება, ასევე კითხვარების შევსება, რის საფუძველზეც იგეგმება ბავშვებისთვის საყვარელი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს ტრანზიციის პროცესს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:45
დასრულების დრო - 15: 51

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანების (N2 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანებას (N2 საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 11 დეკემბრისა.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანების (N3 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ამირან ხიმშიაშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანების N3 საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 12 და 13 ოქტომბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 90. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრას.
ექსპერტმა, ამირან ხიმშიაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით - როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას. ექსპერტმა ასევე ისაუბრა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებას აქვს კარგი თანამშრომლობის პრაქტიკა სხვადასხვა აქტორებთან, რომელიც თანამშრომელთა შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობისკენ არის მიმართული. მიმდინარე წელს, საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებამ მოიპოვა „მწვანე ჯილდო 2025", რომელიც გარემოსდაცვითი

ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ განხორციელდა. „მწვანე ჯილდოს" კონკურსის ფარგლებში, საბავშვო ბაღის აღმზრდელმა/მეთოდისტებმა განახორციელეს აქტივობები გარემოსდაცვითი და აგრარული თემების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა იმ ხარვეზების საკითხით, რომელთა აღმოსაფხვრელადაც დაწესებულების სტატუსის მაძიებელს უკვე დაწყებული აქვს მუშაობა.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მარკირების საკითხები მოგვარებულია, აღმზრდელები გადამზადებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგით, მწერებისგან დამცავ ბადესთან დაკავშირებული ხარვეზი მოგვარების პროცესშია, შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზის საკითხი მოგვარებულია, საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით შეძენილი იქნება სააღმზრდელო პროცესის დაწყების პერიოდისთვის.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა შესაბამისი პერსონალის მიერ აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდულის გავლის საკითხით.
მეთოდურ დარგში გაერთიანების დირექტორის მოადგილემ განაცხადა, რომ პედაგოგთა უმეტესობას გავლილი აქვს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული და ასევე, იგეგმება კურიკულუმის დანერგვის სტრატეგიებთან დაკავშირებული ტრენინგების გავლა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:13
დასრულების დრო - 16:17

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანების (N3 საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა - ბაღების გაერთიანებას (N3 საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 11 დეკემბრისა.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანების (ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა გაბისონიამ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში შემავალი სოფელ ხეთის საბავშვო ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 2 და 3 სექტემბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში" აქტივობათა კრებული. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 100. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა გაბისონიამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული

ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა, თუ რა ეტაპზეა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით გაწერილი აქტივობების განხორციელება.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სრულად იზიარებენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწერილ რეკომენდაციებს და გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებით გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ასევე, ისაუბრა, რომ უკვე დაწყებულია მუშაობა ყველა მიმართულებით. მუნიციპალიტეტთან შეხვედრისას ერთობლივად დაიგეგმა და ბიუჯეტში გაიწერა შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესასრულებელი სამუშაოები. ისეთი საკითხები კი, რომელსაც მცირე დრო სჭირდება, უკვე აღმოფხვრილია და გამოსწორებულია. მაგალითად, კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების განსაზღვრული პირობებისთვის გამოცხადებულია ტენდერი და მუშაობა უკვე დაწყებულია კვებითი ღირებულების ნორმების ხარვეზის გამოსასწორებლად; მარკირება გაკეთდა თეთრეულზე, კიბის უჯრედზე, შემინულ კარებზე, ბარიერებზე; აღმზრდელთან დადებული ხელშეკრულება უკვე დაკორექტირდა და მოიცავს ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს; დღის განრიგის ბრძანებაში ცვლილება შეტანილია - ბავშვების ჰაერზე გასეირნება მოხდება მრავალჯერ; ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოს ადაპტაციასთან დაკავშირებით, ბრძანებაში ცვლილება უკვე შეტანილია რეკომენდაციის საფუძველზე; საგანმანათლებლო რესურსებიც მაქსიმალურად შეძენილია; ასევე, ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის საშტატო ერთეულიც.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა საგანმანათლებლო პერსონალის დამატებასთან დაკავშირებით.
გაერთიანების დირექტორმა ისაუბრა, რომ ხეთის საბავშვო ბაგა - ბაღს ფართიც და შესაბამისი მოწყობაც აქვთ იმისთვის, რომ გამოიყოს 2-3 წლის ასაკისა და 3-4 წლის ასაკის ბავშვების ჯგუფები ცალ-ცალკე, ხოლო საგანმანათლებლო პერსონალის დამატებისთვის, მუნიციპალიტეტთან უკვე მიმდინარეობს შეთანხმებები.
საბჭოს წევრი, თამარ ჩიკვილაძე, დაინტერესდა თანამშრომლების სამუშაო განრიგზე, რატომ არის დამლაგებელი და მზარეულის დამხმარე არასრული დღით დასაქმებული.
გაერთიანების დირექტორმა უპასუხა, რომ სოციალური პროგრამით დასაქმებული ადამიანებით აძლიერებდნენ ბაღს და ამიტომ, დამლაგებელი და მზარეულის დამხმარე ნახევარ განაკვეთზე ჰყავდათ. დღევანდელი მდგომარეობით სოციალური პროგრამა დაიხურა. 2026 წლიდან მუნიციპალიტეტთან მოხდა შეთანხმება გაიზარდოს საშტატო ნუსხა, რათა ახალი კადრები მოიძიონ და დანიშნონ.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის საკითხით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ბაღს გააჩნია საკმარისი ფართი, დამოუკიდებელი ოთახები და საძინებლები, სადაც შესაძლებელია ოთხი ასაკობრივი ჯგუფის გახსნა ცალ-ცალკე. დაწესებულება სრულად მიიღებს მოთხოვნილ რაოდენობას, თუ გაითვალისწინებენ რესურსებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:19

დასრულების დრო - 17:22

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანების (ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საბავშვო ბაგა-ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებას (ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საბავშვო ბაგა-ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 11 დეკემბრისა.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანების (ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ხორგის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა გაბისონიამ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში შემავალი სოფელ პირველი ხორგის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 4 და 5 სექტემბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში" აქტივობათა კრებული. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 20. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა გაბისონიამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით, შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან ".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას. ასევე, მან აღნიშნა, რომ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც პარალელურად განთავსებულია მერიის ადმინისტრაციული სამსახური, ბაღსაც და ორგანიზაციასაც ცალკე, დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს და გამიჯნულია ერთმანეთისაგან.

საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა საგანმანათლებლო რესურსის რაოდენობის საკითხით.

გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ ბაღი 2021 წელს აშენდა და თავიდანვე საკმარისი რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსით მომარაგდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მოთხოვნილი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის საკითხით.

ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ მოთხოვნილ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას, რადგან არ აქვთ კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, არ ჰყავთ კანონმდებლობით განსაზღვრული პერსონალის საკმარისი რაოდენობა, მრავალასაკობრივ ჯგუფში დარღვეულია აღმზრდელისა და ბავშვის თანაფარდობა.

გაერთიანების დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ სამედიცინო პერსონალი არ ჰყავდათ და 2026 წლის იანვრიდან უკვე დამატებულია ექთნის შტატი, დანარჩენ საკითხებს შესაბამისობის გეგმებით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელებენ.

საბჭოს წევრი, ნატო შეროზია, დაინტერესდა თანამშრომელთათვის სავალდებულო ცნობების საკითხით.

გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ სავალდებულო ცნობები 2026 წლის იანვრიდან ყველა პერსონალის პირადი საქმის შემადგენელი ნაწილი იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:44
დასრულების დრო - 17:46

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანების (ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ხორგის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 20-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებას (ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ხორგის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 11 დეკემბრისა.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანების (ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიბულის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საპატიო მიზეზის გამო საკითხის განხილვას ვეღარ ესწრებოდა საბჭოს წევრი, რონა პერტია. შემდგომ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ

თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა გაბისონიამ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში შემავალი სოფელ ხიბულის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 6 და 7 სექტემბერს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 60. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 15 ბავშვისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა გაბისონიამ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით, შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “.
ექპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელთა რაოდენობისა და გადამზადების საკითხით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირმა გაბისონიამ, განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს ერთი აღმზრდელი ჰყავს და გადამზადებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:03
დასრულების დრო - 18:09

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანების (ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიბულის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებას (ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიბულის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 15-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 11 დეკემბრისა.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 18:15 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე